სსიპ საქართველოს
სტანდარტებისა და მეტროლოგიის
ეროვნული სააგენტო

0178, თბილისი, საქართველო, ჩარგლის ქ. №67
ტელ.: (99532) 261 25 30
ფაქსი: (99532) 261 35 00
ელ-ფოსტა: info@geostm.ge

LEPL GEORGIAN
NATIONAL AGENCY OF
STANDARDS AND METROLOGY

№67 Chargali str., 0178 Tbilisi, Georgia
Tel.: (99532) 261 25 30
Fax: (99532) 261 35 00
E-mail: info@geostm.ge

18.09.2013 № 465

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

ბატონო ტატო,

გაცნობებთ, რომ „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების შესაბამისად, სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში „საპროექტო მომსახურების შესყიდვა" მონაწილე ერთადერთმა კომპანიამ შპს „არქიტექტორი გამომგონებელმა", წარმოადგინა საკონკურსო წინადადება, რომელშიც მითითებულია, რომ კონკურსანტი სააგენტოს სთავაზობს საპროექტო სამუშაოების შესრულებას 138 305 (ასოცდათხუთმეტიათას სამასხუთი) ლარად. აღნიშნული ღირებულება აღემატება სააგენტოს მიერ საკონკურსო განცხადებაში მითითებულ ღირებულებას 88 585 (ოთხმოცდარვაათას ხუთასოთხმოცდახუთი) ლარს, შესაბამისად სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2013 წლის 26 აგვისტოს N62 განკარგულებით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებით, აღნიშნული კონკურსი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

GeoSTM

დანართი: 4 გვერდი

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი — პრომეთე შევარდნაძე

სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო
შესყიდვების სააგენტო
შემოსვლის № 4572
19 09 2013

**Architects of Invention**

შპს „არქიტექტორი გამომგონებლები"

ნ.ნიკოლაძის #5
თბილისი, 0108
T +995 322 2180 188

office@architectsofinvention.com
www.architectsofinvention.com

16.09.2013

# საკონკურსო წინადადება

პატივცემულო ბ-ნო/ქ-ნო,

განვიხილეთ თქვენი საკონკურსო განაცხადი, შემდეგი შემადგენლობით:
სარჩევი


1 შესავალი
2 ტერმინები და განმარტებები
3 შესყიდვის საგანი
4 პროექტის აღწერილობა
4.1 დამკვეთი
4.2 დამკვეთის მიზნები
4.3 პროექტის ფაზები
5 ტექნიკური დავალება
6 წინადადების დეტალები
6.1 ზოგადი დეტალები
6.2 წინადადების წარმოდგენა
6.3 მოთხოვნები, გამოხმაურებები, დაზუსტებები და ცვლილებები
6.4 კონფერენცია კონკურსის მიმდინარეობისას
6.5 ვიზიტი სამშენებლო მოედანზე
6.6 კონკურსში მონაწილეობის ღირებულება
6.7 წინადადების ღირებულება
6.8 დოკუმენტებზე საკუთრების უფლება და კონფიდენციალურობა
6.9 დოკუმენტაციის ენა
6.10 გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა
7 წარსადგენი ინფორმაცია
8 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების


ასლი დედანთან

763 16.09.2013

დანართი 1 (ტექნიკური დავალება) :
1 შესავალი
2 ტერმინები და განმარტებები
3 საპროექტო დავალება
3.1 საპროექტო გუნდის მიერ შესასრულებელი სამუშაოები
3.2 მისაღწევი შედეგები
3.3 კონკურსანტის მიერ ხარისხის კონტროლი და ხარისხის უზრუნველყოფა
3.4 ინტელექტუალური საკუთრების უფლებები
3.5 ცვლილებების მენეჯმენტი და კონტროლი
3.6 ხარჯების კონტროლი და პროექტის ხარჯების გეგმა
3.7 ღირებულების ოპტიმიზაცია (VALUE ENGINEERING)
3.8 ნებართვები და ხელისუფლებასთან შეთანხმება
3.9 სამუშაოების წარმოების მეთოდები
3.10 პროექტის ორგანიზაციული სტრუქტურა
3.11 პროექტის ფარგლებში ინფორმაციის მენეჯმენტი
3.12 შენობის ფაქტობრივი მდგომარეობა
3.13 ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვა
დანართი ა (საპროექტო გუნდის მიერ შესასრულებელი სამუშაოები)

დანართი ბ (პროექტის სტრატეგიული კალენდარული გრაფიკი)
დანართი გ (ინფორმაციის მენეჯმენტი)
დანართი დ (ფაქტობრივი მდგომარეობის მოკლე აღწერილობა)
დანართი ე (შენობის რეაბილიტაციის მიმართ ტექნიკური მოთხოვნები)
დანართი ვ (ხარისხის გეგმა)
დანართი ზ (ნახაზების შექმნის ინსტრუქცია)
დანართი თ (დამკვეთის მოთხოვნები ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვისადმი)
დანართი 2 (RIBA სამუშაო გეგმის მონახაზი 2007)
დანართი 3 (საკონკურსო წინადადების ფორმა)
დანართი 4 (ინფორმაცია კონკურსანტის გამოცდილების შესახებ)
დანართი 5 (პერსონალის რეზიუმე)
დანართი 6 (კონკურსანტის რეკვიზიტები)
დანართი 7 (ხელშეკრულების პროექტი)

მასში აღწერილი მომსახურების შესყიდვის შესახებ.
ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული საკონკურსო წინადადება სრულად შეესაბამება ზემოთაღნიშნულ დოკუმენტაციას.
ჩვენ გთავაზობთ სამუშაოების შესრულებას ჯამურად:
თანხა: 138 305 ვალუტა: ლარი
თანხა სიტყვიერად: ასოცდათვრამეტი ათას სამასხუთი ლარი.

საკონკურსო განცხადებაში მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია სათანადო წესით იქნა შევსებული და დამოწმებული ჩვენს მიერ, რომელიც თან ერთვის ამ დოკუმენტს და ჩვენი წინადადების განუყოფელ ნაწილს შეადგენს.
ჩვენი წინადადების პირობები ძალაშია 30 დღის განმავლობაში მისი გამოცემის დღიდან და დამკვეთის მიერ მასზე თანხმობა შესაძლებელია ნებისმიერ დროს ამ პერიოდის ამოწურვამდე.
ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ დამკვეთს აქვს სრული თავისუფლება საკუთარი არჩევნის გაკეთებაში და არ არის ვალდებული მიიღოს ყველაზე დაბალი ღირებულების ან რომელიმე სხვა წინადადება.

ხელმოწერა _____
ხელმომწერის სახელი და გვარი გიორგი საყვარელიძე
დამოწმება _____
დამმოწმებლის სახელი და გვარი დევი ქიტუაშვილი
ბ. ა

Architects of Invention Ltd. AI 404864688

სსიპ „საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“
გენერალური დირექტორის 2013 წლის 26 აგვისტოს N62
განკარგულებით შექმნილი კომისიის
სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი 17 სექტემბერი 2013 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

პრომეთე შევარდნაძე–გენერალური დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;

**კომისიის წევრები:**

დავით ტყემალაძე–ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი.

ნინო მიქანაძე – მეტროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი

გიორგი ჩიტაძე – სტანდარტების დეპარტამენტის დირექტორი, კომისიის წევრი;

ავთანდილ ჭიჭინაძე - სტანდარტიზაციის სამსახურის უფროსი;

ავთანდილ მაღლაკელიძე - საერთაშორისო ურთიერთობების, პროტოკოლისა და მარკეტინგის განყოფილების სპეციალისტი

**დღის წესრიგი:** სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“ მიერ საპროექტო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით შპს „არქიტექტორი გამომგონებლები“-ს დაზუსტებული საკონკურსო წინადადების განხილვა.

**განიხილეს:** კომისიის წევრის დავით ტყემალაძის ინფორმაცია წარმოდგენილი დაზუსტებული საკონკურსო წინადადების შესახებ. კერძოდ, კონკურსში მონაწილე კომპანიამ შპს „არქიტექტორი გამომგონებლები“ წარმოადგინა საკონკურსო წინადადება, რომელშიც მითითებულია, რომ კონკურსანტი სააგენტოს სთავაზობს საპროექტო სამუშაოების შესრულებას 138 305 (ასოცდათვრამეტიათას სამასხუთ) ლარად. აღნიშნული ღირებულება ბევრად აღემატება სააგენტოს მიერ საკონკურსო განცხადებაში მითითებულ ღირებულებას 88 585 (ოთხმოცდარვაათას ხუთასოთხმოცდახუთი) ლარს.

განხილვის შედეგად, გადაწყდა, რომ შპს „არქიტექტორი გამომგონებლები“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ შეესაბამება სააგენტოს საკონკურსო განცხადებას, რის გამოც მან ვერ გაიმარჯვა გამოცხადებულ კონკურსში. ამასთან, რამდენადაც კონკურსში სხვა

კომპანიას მონაწილეობა არ მიუღია, სააგენტომ უნდა მიმართოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ახალი კონკურსის გამოცხადების თაობაზე.

**დაადგინეს:**

1. დაევალოს საკონკურსო კომისიას: შეატყობინოს შპს „არქიტექტორი გამომგონებლები"-ს, რომ მათმა საკონკურსო წინადადებამ ვერ გაიმარჯვა საპროექტო მომახურების შესყიდვის კონკურსში;
2. დაევალოს საკონკურსო კომისიას: „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების მე-5 მუხლის შესაბამისად, მიმართოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ახალი კონკურსის გამოცხადების თაობაზე..

<u>**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:**</u>

პრომეთე შევარდნაძე

<u>**სატენდერო კომისიის წევრები:**</u>

დავით ტყემალაძე

ნინო მიქანაძე

გიორგი ჩიტაძე

ავთანდილ ჭიჭინაძე

ავთანდილ მაღლაკელიძე

*შენიშვნა: კომისიის სხდომას მიელინებაში ყოფნის გამო არ ესწრებოდა კომისიის წევრი სიმონ სუხიშვილი - რადიაციული მეტროლოგიის განყოფილების უფროსი.*